



## წლის ანგარიში

2013

1. ჩვენს შესახებ - სააგენტოს მისია, მიზნები, მიმართულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ორგანიზება
2. სააგენტოს სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის.
3. პროექტები და აქტივობები -2013:

### *3.1 ელექტრონული მმართველობა;*

- 4.1.1. საკანონმდებლო ბაზა;
- 4.1.2. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - Georgian Governmental Gateway;
- 4.1.3. მოქალაქის პორტალი.
- 4.1.4. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი;
- 4.1.5. საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემა;
- 4.1.6. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნა;
- 4.1.7. Data.gov.ge;
- 4.1.8. TWINING-ის პროექტი - „საქართველოს ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ“

### *3.2 ინფორმაციული უსაფრთხოება;*

- 3.2.1 საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“
- 3.2.2 საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია
- 3.2.3 კონსულტაცია ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვაში
- 3.2.4 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კუთხით
- 3.2.5 CERT.GOV.GE - პარტნიორები, სერვისები და პროექტები;

### *3.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა;*

### *3.4 ორგანიზაციული შესაძლებლობების და პროფესიული განვითარება;*

### *3.5 დონორებთან ურთიერთობა.*

## **ჩვენს შესახებ - სააგენტოს მისია, მიზნები, მიმართულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ორგანიზება**

### **სააგენტოს მისია**

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა.

### **მიზნები**

სააგენტო მიზნად ისახავს მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისთვის სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების უსაფრთხოდ, ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ინფრმციის, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ურთიერთავდებადობის მიღწევას და მონაცემების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებასა და საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობის ზრდას.

### **პრეისტორია**

მონაცემთა გაცვლის სააგენტო შეიქმნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონის შესაბამისად, 2009 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #228 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლის 1-ლი იანვრიდან.

### **ძირითადი მიმართულებები**

სააგენტო თავის საქმიანობას სამი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს. პირველ მიმართულებას წარმოადგენს *ელექტრონული მმართველობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება*, რაც გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, ინფორმაციული და ინოვაციური ტექნოლოგიების (სისტემების) განვითარების ხელშეწყობას, ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს განვითარებისათვის აუცილებელი სტანდარტების შემუშავებას და ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებას.

მეორე მიმატრთულებას წარმოადგენს *მონაცემთა გაცვლის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა*. ქვეყნის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდმივი და სწრაფი განვითარების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის პროცესები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებზე. ხშირ შემთხვევაში ეს სისტემები სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით არის აგებული და მათ შორის კავშირის დამყარება დიდ რესურსებს მოითხოვს. იმისათვის, რომ ქვეყნის ნებისმიერო სუბიექტისათვის ინფორმაცია ადვილად მისაღები გახდეს, საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების გაერთიანება ერთ ლოგიკურ გეოგრაფიულად განაწილებულ სისტემაში და ყველა ელექტრონული სერვისის მიწოდება ერთი ფანჯრის პრინციპით, რის საშუალებასც გვაძლევს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - სქართველოს სამთავრობო კარიბჭე (Georgian Governmental Gateway). ინფრასტრუქტურაში ჩართულ სუბიექტებს საშუალება აქვთ გაცვალონ ინფორმაცია ელ-სერვისების საშუალებით. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დაკავშირება ხდება მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯებით. უკვე არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის საჭიროა მხოლოდ მონაცემთა ადაპტერის დამატება, რომელიც აუცილებელია ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. სისტემა საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი კომბინირებული ელექტრონული სერვისები და გაცილებით ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით განხორციელდეს ერთი ფანჯრის პრინციპით, მოქალაქის პორტალის გამოყენებით ელექტრონული სერვისების მოსახლეობისთვის მიწოდება.


მესამე პრიორიტეტულ მიმართულებას წამოადგენს სახელმწიფო სექტორში და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში *ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა*. ქვეყნის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდმივი და სწრაფი განვითარების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის პროცესები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებზე, მეორე მხრივ, ბიზნეს-პროცესების ავტომატიზირებული მართვა იწვევს დამატებით რისკ ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო, სამსახურებრივი, პირადი საიდუმლო და სხვა სახის ინფორმაციის გამიჯვნას, მათი გაცვლის და მათზე წვდომის მოწესრიგებას და მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის გამორიცხვას. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი ამოქმედება გულისხმობს მოქმედ საკანონმდებლო ბაზას, შესაბამისი აღსრულების მექანიზმით, რომლებიც დაარეგულირებს ყველა საჯარო სამსახურის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ერთიან ნორმატიულ სივრცეში მოქცევას ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით. ასევე მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტებში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვისთვის რეკომენდაციებისა და მექანიზმების შემუშავება, აღნიშნული სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება; ნორმატიულ ბაზასან ერთად კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს კომპიუტერული ინციდენტების პრევენციისა და ინციდენტებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების სისტემის შექმნა. ამ მიზნით მონაცემა გაცვლის სააგენტოში შეიქმნა და აქტიურად ფუნქციონირებს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი (CERT.GOV.GE)

# სააგენტოს სტრუქტურა

## სააგენტოს საქმიანობის ორგანიზება

შეზღუდული

ადამიანური



პროექტს სხვადასხვა მიმართულებით, აგრეთვე მრავალრიცხოვან მცირე პროექტსა და მოკლევადიან აქტივობას. სააგენტოს საქმიანობის ოპტიმიზაციისთვის, რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისა და მიღწეული შედეგების ობიექტურად შეფასებისთვის სააგენტოს მენეჯმენტი იყენებს პროექტების მართვის საუკეთესო პრაქტიკასა თანამედროვე მეთოდებს. დიდი ყურადღება ეთმობა პროექტების მომზადებას, რაც თავის თავში გულისხმობს როგორც აქტივობების დეტალური გეგმის შედგენას (შეაბამისი რესურსებით), ასევე საპროექტო გარემოსა და დაინტერესებული მხარეების ანალიზს, რისკის ანალიზს, პასუხისმგებლობების განაწილებას, მონიტორინგისა და კონტროლის ქმედით მექანიზმებს. თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობაში გამიჯნულია ყოველდღიური აქტივობები და მისი მონაწილეობა პროექტებში. შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება ხდება პერიოდულად წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების გეგმის მიხედვით. საქმიანობის ორგანიზებისთვის გამოიყენება საინფორმაციო სისტემები - MS Project, MS Sharepoint Server, MS SCOM. ამგვარად ორგანიზებული მართვის სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში პარალელურად განხორციელდეს რამდენიმე მასშტაბური პროექტი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სტრატეგია (2014-2017)

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ 2013 წელს შეიმუშავა ელექტრონული მმართველობის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის, რომლის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში იმ სახელმწიფო ორგანიზაციათა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩართვა, რომელთაც რეალიზებული აქვთ ელ. სერვისები;
- სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა „მოქალაქის პორტალის“ მეშვეობით - 2017 წლისთვის მოქალაქის პორტალზე დარეგისტრირებული იქნება არანაკლებ 0.8 მლნ მომხმარებელი ;
- 2017 წლისთვის სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცვლაში ქალაქის დოკუმენტების წილის შემცირება 30%-მდე;
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის გავრცელება ყველა სახის საზღვაო და სახმელეთო ტვირთზე;
- 
- მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ყველა სუბიექტის საინფორმაციო სისტემებისა და რეესტრების მონაცემების ასახვა;
- კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების 80%-ში ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვა;
- ინციდენტების მართვის ადგილობრივი ჯგუფების შექმნა, ტრენინგი და კოორდინაცია მსხვილ სახელმწიფო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში.
- ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის (მოწმობის) გამცემის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგის მექანიზმების შექმნა.

### **პროექტები და აქტივობები -2013:**

#### ***ელექტრონული მმართველობა;***

#### **საკანონმდებლო ბაზა**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ელექტრონული მმართველობის დამოხილვების (Twinning) პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ეძღვნება ელექტრონული მმართველობის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვას, სამართლებრივი აქტების ანალიზს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მათ შესაბამისობასა და აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ცვლილებებისა და დამატებების ინიცირებას.

2013 წლის განმავლობაში განხორციელდა ქართველი ექსპერტების მივლინება ავსტრიაში ევროპული საკანონმდებლო გამოცდილების გასაზიარებლად, შემდგომში კი მონაცემთა გაცვლის სააგენტოში მოწვეულები იყვნენ ევროპელი ექსპერტები საქართველოს ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი ბაზის შესასწავლად, სამუშაო ჯგუფთან ერთად შემუშავდა ელ-მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც საბოლოო ჯამში დარედაქტირდა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის კანონში ცვლილებებისა და დამატებების პაკეტად.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ავსტრიელი ექსპერტების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი პრინციპების ამსახველი დოკუმენტი.

გრძელდება მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო რეგულირების დახვეწის მიმართულებით.

## **მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - Georgian Governmental Gateway**

პროექტის მიზანია უზრუნველყოფილი იქნას საჯარო სექტორში არსებული ინფორმაციული სისტემების ინტეგრაცია და ინფორმაციულ რესურსებსა და სერვისებზე სტანდარტიზირებული წვდომა.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე, არის აპარატურულ/პროგრამული კომპლექსი, რომელიც ქმნის სახელმწიფოს მსაშტაბით ერთიან გეოგრაფიულად განაწილებულ ინფორმაციულ სისტემას. სისტემაში ჩართულ სუბიექტებს ელექტრონული სერვისების საშუალებით ინფორმაციის უსაფრთხოდ გაცვლის საშუალება აქვთ. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დაკავშირება ხდება მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯებით. უკვე არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის საჭიროა მხოლოდ მონაცემთა ადაპტერის დამატება, რომელიც აუცილებელია ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. ზემოთ აღნიშნული სისტემა გააუმჯობესებს ინფორმაციასთან წვდომას და უზრუნველყოფს მის დაცულობასა და საიმედოობას. ასევე სისტემა საშუალებას მოგვცემს შეიქმნას ახლი კომბინირებული ელექტრონული სერვისები და გაცილებით ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით უზრუნველყოთ ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურების მოსახლეობისთვის მიწოდება. 2011 წელს საერთაშორისო ვენდორების მხარდაჭერით (HP, Microsoft) შეიქმნა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაამჟამად ინფრასტრუქტურაში 2012 წლისთვის ჩართული იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: საჯარო რეესტრი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, შემოსავლების სამსახური, შსს, ჯანდაცვის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ალდაგი.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დამატებით ჩაერთო 13 ახალი ორგანიზაცია: Geobet, ალტა სოფთვეარი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ბეთგეოგრანდი, ეროვნული სკრინინგ ცენტრი, თეგეტა, თელასი, თიბისი ბანკი, კავკასიის განვითარების ბანკი, ფაშა ბანკი, ქართული კრედიტი, ლითერასი, შსს ანტიკორუფციული სამსახური.

განხორციელდა იუსტიციის სამინისტროს და საჯარო რეესტრის ტურნიკეტის სერვისების ინტეგრაცია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში;

ჩატარდა ნოტარიუსთა პალატის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, შსს-ს მომსახურების სააგენტოსა და კრედიტინფოს სერვისების ანალიზი და დაიწყო მათი ინტეგრაციის პროცესი;

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს რთულ აპარატურულ-პროგრამულ კომპლექსს, რომელიც მუდმივ მხარდაჭერას საჭიროებს, როგორც ადგილობრივი სპეციალისტების, ასევე საერთაშორისო ვენდორების მხრიდან. 2013 წელს ჩატარდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება „მაიქროსოფტ საქართველოსთან“, Microsoft-ის სტანდარტული პროდუქტებისა და სამთავრობო კარიბჭის 3 წლიანი მომსახურების შესახებ.

## **მოქალაქის პორტალი (www.my.gov.ge) - ელექტრონული სერვისების ერთიანი სისტემის შექმნა**

პორტალი წარმოადგენს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საპრეზენტაციო შრეს. ეს არის ერთიანი ვებ-ინტერფეისი, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნეს-სექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისი, აგრეთვე კომბინირებული ელექტრონული სერვისები. მოქალაქის პორტალის მიზანია ერთი ფანჯრის პრინციპით და მაქსიმალურად მოხერხებული ინტერფეისით მომხმარებელს (მოქალაქე, ბიზნესი, არარეზიდენტი) მიაწოდოს საჯარო სექტორში არსებული სერვისები ელექტრონული ფორმით.

პორტალი გაეშვა 2012 წლის მაისში. მოქალაქის პორტალზე სრულად არის რეალიზებული მოქალაქის ფუნქციონალი. არსებული სახელმწიფო სერვისებიდან ინტეგრირებულია 52 სერვისი. ასევე, თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს პორტალიდან გადაიხადოს 80-მდე კომუნალური და სხვა სახის გადასახადები. პორტალზე ავტორიზაცია ხდება ელექტრონული პირადობის (ID Card) მოწმობის საშუალებით, ამასთან 2013 წელს მოქალაქის პორტალის ფუნქციონალს დაემატა მომხმარებლების რეგისტრაცია მომხმარებლის სახელითა და პაროლით - შეიქმნა პორტალზე სარეგისტრაციო სისტემა იუსტიციის სახლების ოპერატორებისთვის. მომხმარებლის სახელისა და პაროლის მისაღებად საკმარისია იუსტიციის სახლში ერთჯერადი ვიზიტი.

მოქალაქის პორტალის საშუალებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნა ერთი ფანჯრის პრინციპით. 2013 წლის მაისიდან დაინტერესებულ მოქალაქეს, ან ორგანიზაციას საშუალება აქვს მოქალაქის პორტალის საშუალებით მიმართოს სახელმწიფო დაწესებულებას და მისი გზავნილს ოფიციალური წერილის ძალა ექნება. წერილის ავტორს პასუხი ასევე ელექტრონული სახით მიეწოდება მოქალაქის პორტალის საშუალებით. სერვისში ჩართულია სახელმწიფო დაწესებულებების 52 ცენტრალური და 408 რეგიონალური ოფისი.

მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით განახლდა და გაეშვა ელექტრონული სერვისების მონიტორინგის სისტემა. სისტემა წინასწარ დადგენილი პერიოდულობით ავტომატურად მიმართავს ინტეგრირებულ სერვისებს და დაბრუნებული პასუხის მიხედვით ახდენს სერვისის გამართულობის დიაგნოსტიკას.

დასრულდა ტექნიკური და ანალიტიკური რეპორტების შექმნა, რომლებიც ასახავენ მოქალაქის პორტალის ეფექტურობას და წარმადობას ისეთი პარამეტრების შემოწმებით, როგორცაა სერვისის მუშაობის საშუალო სიჩაქრე, გამოძახებული სერვისების რაოდენობა დროის მითითებულ პერიოდში, მომხმარებლების აქტივობა, ყველაზე გამოყენებადი (მოთხოვნადი) სერვისები და ა.შ

შემუშავდა მოქალაქის პორტალის (my.gov.ge) ახალი ვერსია. რომელიც ერთნაირად მოსახერხებელია დესკტოპებისთვის, ნოუტბუქებისა და მობილური მოწყობილობებისთვის, ასევე პორტალზე დაემატა ისეთი მნიშვნელოვანი სერვისები, როგორცაა სახელმწიფო დაწესებულებებისაგან ინფორმაციის გამოთხოვა, ელექტრონული დოკუმენტების საცავი და ციფრულად ხელმოწერა:

ქვემოთ მოყვანილია ახალი სერვისების მოკლე აღწერა:

**ელექტრონული დოკუმენტების საცავი - ელექტრონული დოკუმენტების რეპოზიტორი**

მოქალაქის პორტალი შესაძლებლობას აძლევს სისტემის მომხმარებლებს იქონიონ საკუთარი ელექტრონული დოკუმენტების საცავი, სადაც შეინახავენ პორტალის საშუალებით გამოთხოვილ ელექტრონულ დოკუმენტებს. საცავში შეინახება ასევე ის დოკუმენტებიც, რომლებზეც ხელმოწერა განხორციელდა ციფრული ხელმოწერის საშუალებით პორტალის გამოყენებით.

შესანახი დოკუმენტების დასაშვები ფორმატია PDF. საცავის 50 მგბ მოცულობა იქნება უფასო, ხოლო დარარჩენი ნაწილი ფასიანი.

### **ელექტრონული დოკუმენტების ციფრულად ხელმოწერის სერვისი**

- დოკუმენტების საცავიდან მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს შენახული ელექტრონული დოკუმენტი, ან/და საცავში ატვირთოს ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი/ნებისმიერი დოკუმენტი, მოაწეროს ციფრულად მას ხელი ახალი ელექტრონული ID ბარათის მეშვეობით, გადაუგზავნოს კონტრაქტორ მხარეს/მხარეებს დოკუმენტები ხელმოსაწერად, ორმხივად/მრავალმხრივად ხელმოწერილი დოკუმენტები ჩამოტვირთოს ან კვლავ შეინახოს საცავში. მომხმარებელს მოქალაქის პორტალის საშუალებით შეეძლება რამდენიმე ოფციის გამოყენება, კონკრეტულად კი შეეძლება ნახოს: (1) მხოლოდ მომხმარებლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები; (2) მიღებული ხელმოსაწერი დოკუმენტები; (3) რამდენიმე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები. დოკუმენტის სტატუსის შესახებ შეტყობინებები მოქალაქეს ეგზავნება sms-ით და e-mail-ით.

### **დაზღვეული წერილების სერვისი**

მოქალაქის პორტალის საშუალებით პორტალის მომხმარებელს ელექტრონული ფორმით ჩაბარდება სახელმწიფოს მიერ გაგზავნილი შეტყობინებები, რომელიც მას აქამდე დაზღვეული წერილის სახით ფოსტის საშუალებით ეგზავნებოდა (მაგალითად, აღსრულების ეროვნული ბიურო). სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებულ ორგანიზაციებს სთავაზობს დაზღვეული შეტყობინების გაგზავნის სერვისს. სერვისი წარმოადგენს დაზღვეული ფოსტით გაგზავნილი წერილის ელექტრონულ ანალოგს. გამგზავნ ორგანიზაციას მიუვა ინფორმაცია შეტყობინების ჩაბარების/ვერ ჩაბარების თაობაზე.

კონკრეტულად, მომხმარებელს შეტყობინების ველში მისდის წერილი, რომელიც მასზე ჩაბარებულად ჩაითვლება მხოლოდ მომხმარებლის მიერ მისი გახსნის, წაკითხვისა და დახურვის შემთხვევაში. აღნიშნული მომსახურება ფასიანი იქნება და მას იხდის შეტყობინების გამგზავნი ორგანიზაცია.

### **ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი**

საჯარო სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების შეღწევის დონისა და გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, ინფორმაციული სისტემების თანმიმდევრული და ეფექტიანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კოორდინირებული ქმედებების განხორციელება. წარმატებული კოორდინაციის წინაპირობას კი, თავის მხრივ, წარმოადგენს სწორი და ამომწ ურავი ინფორმაციის ფლობა იმ სისტემებსა და სერვისებზე, რომელთაც სახელმწიფო სულ უფრო მეტი ოდენობით სთავაზობს მოქალაქეებს და სხვა მომხმარებლებს;

ამ მიზნით 2011 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონი. კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მოქმედი მონაცემთა



ბაზების, რეესტრების, საინფორმაციო სისტემებისა და მომსახურებების ერთიანი კატალოგის შექმნა, რომელიც სრულად აღწერს საქართველოს საჯარო სექტორში არსებულ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რესურსებს. ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში არ შედის და არ მუშავდება მონაცემები კერძო სამართლის პირთა მონაცემთა ბაზების, რეესტრების, საინფორმაციო სისტემებისა და მომსახურების შესახებ;

რეესტრის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომელმაც შექმნა შესაბამისი პროგრამული გადაწყვეტილება – „რეესტრთა რეესტრის პორტალი“. რეესტრთა რეესტრის პორტალი ფუნქციონირებს მისამართზე <http://ror.dea.gov.ge/>. მისი მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს საშუალება აქვთ განახორციელონ საკუთარი რეესტრებისა და მომსახურებების პირველადი რეგისტრაცია, ისევე როგორც მათში მნიშვნელოვანი ცვლილების, მათი განვრცობის, კომბინირების, გაუქმების, განადგურების, არქივირებისა და გადაცემის შეტყობინების რეგისტრაცია. ამ დროისათვის პორტალზე დარეგისტრირებულია 85 სუბიექტი, რომელთაც, თავის მხრივ, შეიყვანეს მონაცემები 344 რეესტრის და 315 სერვისის შესახებ;

„რეესტრთა რეესტრის“ პროექტის შემდგომი განხორციელება მოიცავს როგორც მასში არსებული ინფორმაციის ყოვლისმომცველ ანალიზს, ისე პროექტის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, რომელიც განხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საჯარო ადმინისტრირების გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში. რეესტრთა რეესტრის სისტემის განახლებისათვის, 2013 წელს ჩამოყალიბდა ფუნქციონალური მოთხოვნები ახალი სისტემის მიმართ.

## **საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის შექმნა (ერთიანი სავაჭრო ქსელი)**

სისტემის მიზანია საკონტინერო გადაზიდვების პროცესში (იმპორტ/ექსპორტი) ჩართულ კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის გამარტივება, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სარგებელს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მხარეებისათვის;

პირველ ეტაპზე სისტემა მოიცავს საკონტინერო გადაზიდვებს ბათუმისა და ფოთის პორტის გავლით. შემუშავებულია არსებული პროცესების ბიზნეს ანალიზისა და ოპტიმიზებული პროცესების ბიზნეს ანალიზის დოკუმენტები. შექმნილია სამუშაო ჯგუფი. განხორციელდა საერთაშორისო საზღვაო ხაზებს, პორტებს, გადამზიდავ კომპანიებს, ტერმინალებს, რკინიგზასა და საბაჟოს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შექმნა. სისტემის მომხმარებელთა ჯგუფებისთვის შექმნილია მოსახერხებელი ინტერფეისები. მიმდინარეობს სისტემის ტესტირება და მისი პირველადი გაშვება დაგეგმილია 2014 წლის გაზაფხულზე.

შემდეგ ეტაპზე სისტემამ უნდა მოიცვას ყველა სახის სახმელეთო და საჰაერო ტვირთი.

## **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნა**

პროექტის მიზანია სახელმწიფო სექტორში ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობის მოწესრიგება, ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტის მთელი სასიცოცხლო ციკლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უწყებების იყენებენ ელექტრონული საქმისწარმოების რამდენიმე სისტემას. დღის წესრიგში დადგა მათი ერთმანეთთან ინტეგრაცია, რისთვისაც ყველაზე ეფექტურ და უსაფრთხო მექანიზმს წარმოადგენს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა. სხვადასხვა სისტემების მიერ მომზადებული ელექტრონული დოკუმენტების ურთიერთავსებადობისთვის შეიქმნა ერთიანი სტანდარტი სახელმწიფო სტრუქტურების კანცელარიის პროგრამებისათვის, რათა მომხდარიყო კორესპონდენციის სტანდარტული მიმოცვლა. 2013 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დაინტეგრირდა შსს-ს, საჯარო რეესტრისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანცელარიის ინფორმაციული სისტემები, რომლებსაც სახელმწიფო დაწესებულებების 70%-ზე მეტი იყენებს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის დოკუმენტების ელექტრონულად ურთიერთგაცვლა და მოქალაქის პორტალის საშუალებით ამ ორგანიზაციებიდან ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვა.

## **TWINING-ის პროექტი - „საქართველოს ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ“**

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით. ევროკავშირის მხრიდან პროექტზე პასუხისმგებელია ავსტრია-გერმანიის კონსორციუმი, პროექტის ბიუჯეტი 1 270 000 ევრო.

საჯარო სამსახურების დამოზიდულების პროექტი ხელს შეუწყობს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდას, ელექტრონული მმართველობის განვითარების კოორდინირებასა და ხელშეწყობი საკანონმდებლო/მარეგულირებელი/ტექნიკური გარემოს, სამთავრობო სტრუქტურებს შორის მზარდი ურთიერთთავსებადობასა და ინსტიტუციონალური საინფორმაციო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის შექმნას. პროექტის განხორციელება დაიწყო 2012 წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან.

2013 წელს განხორციელდა 44 ექსპერტული მისია საქართველოში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 25-მა საერთაშორისო ექსპერტმა ავსტრიიდან, გერმანიიდან, დანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან. ეს ექსპერტები წარმოადგენენ ელექტრონული მმართველობის სფეროში თავიანთი ქვეყნების წამყვან სპეციალისტებს. 2014 წელს შედგა 23 კონფერენცია/სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ათეულობით ქართველმა სპეციალისტმა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებიდან. ამავე პერიოდში განხორციელდა ქართველი სპეციალისტების 6 სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ელ-მმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება, მომზადდა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთთავსებადობის და ურთიერთჩართულობის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსია; მომზადდა ელ - საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტი და ელ-მმართველობის სამოქმედო გეგმა, ეს ბოლო აქტივობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ დოკუმენტების შემუშავებაში უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას, როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის მაღალი რანგის IT მენეჯერები და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წამყვანი სპეციალისტები. დოკუმენტი აერთიანებს

რამდენიმე ათეულ პროექტსა და ინიციატივას, რომელთა განხორციელება დაგეგმილია 2014-2018 წლებში, მათ განხორციელებამ ჩართულია ათეულზე მეტი სახემწიფო და არასამთავრობო დაწესებულება, ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია განხორციელდება უმაღლეს სამთავრობო დონეზე ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო კომისიის მიერ.

## სხვა აქტივობები

- დასრულდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის (დამკვეთი - სემეკი) ბიზნესს ანალიზისა და მომხმარებლის მოთხოვნების დოკუმენტაციის მომზადება.
- შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს განახლებული ვებ გვერდი (Justice.gov.ge);

## ინფორმაციული უსაფრთხოება

### საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“

2008 წლის აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბური კიბერ-შეტევების შედეგად, სამთავრობო უწყებებისა და კერძო სექტორის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდმა გამოყენებამ დღის წესრიგში დააყენა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების საკითხი. ამ საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მარეგულირებელი წესების დაზუსტება და რეგლამენტირება. ამ ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, შემუშავდა და მიღებულ იქნა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ივლისს.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ქვაკუთხედს წარმოადგენს „კრიტიკული საინფორმაციო სისტემის“ ცნება. კერძოდ, საუბარია კრიტიკული ინფრასტრუქტურის სახელმწიფო და კერძო სუბიექტებზე, რომელთა განუწყვეტელი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ამგვარი სუბიექტების განსაზღვრისას, გამოყენება ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა ინფორმაციული სისტემის მწყობრიდან გამოსვლის სავარაუდო შედეგების სიმძიმე და მასშტაბი, ეკონომიკური ზარალი, მომსახურების აუცილებლობა, მომხმარებელთა რაოდენობა და სხვა.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისათვის ადგენს მთელ რიგ ვალდებულებებს. უპირველეს ყოვლისა, ყოველ სუბიექტს უნდა გააჩნდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შიდასამსახურებრივი პოლიტიკა, რომელიც ISO 27000

საერთაშორისო სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ამგვარად მიღებული შიდასამსახურებრივი წესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტს, ინფორმაციული სისტემის შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირებას და კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენებასა და მართვას. კანონი ასევე არეგულირებს კიბერ-უსაფრთხოების საკითხებს, რაშიც ქვეყნის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცვის მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ეროვნულ ჯგუფს (CERT.GOV.GE). ეროვნული CERT-ის მოვალეობებს არა მხოლოდ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა, არამედ საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებაც და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაც წარმოადგენს.

2013 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და მიღებული იქნა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. დამტკიცდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხა (36 ორგანიზაცია). თითოეული ორგანიზაციის წარმომადგენელთან შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, სადაც განხილული იქნა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართ მინიმალური მოთხოვნები.

ჩატარდა 3 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების 60-მდე თანამშრომელმა. მომზადდა ტესტირების მასალები და პროცედურები ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სასერტიფიკაციო ტესტებისთვის. ჩატარდა ტესტირება (2-ჯერ), რომელიც წარმატებით გაიარა 18-მა პრეტენდენტმა.

### **საქართველოს კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგია**

2011 წლის დასაწყისიდან, მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობდა. სტრატეგიისა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმა ემყარება საქართველოს კიბერსივრცეში აქტუალური საფრთხეებისა და გამოწვევების შეფასებას და, შესაბამისად, წამყვან პრინციპებად ასახელებს მთავრობის ერთიან მიდგომას, თანამშრომლობას სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის და აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას. კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგია დამტკიცდა 2012 წელს.

2013 წლიდან მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სტრატეგიის ფარგლებში შეისწავლა კიბერუსაფრთხოების სფეროში სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, განახორციელა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მდგრადობის ანალიზი, შეისწავლა კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონში არსებული პრობლემატიკა, შეიმშავა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების განმსაზღვრელი და მისი კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფი ნორმატიული ბაზა, მოახდინა კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

### **კონსულტაცია ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვაში**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმდა ხელშეკრულება ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვის საკონსულტაციო პროექტთან დაკავშირებით. მომზადდა პროექტის ინიცირების დოკუმენტაცია და დეტალური სამოქმედო გეგმა, დაკომპლექტდა პროექტის სამუშაო ჯგუფები; დასრულდა ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების პროექტის პირველი ფაზის განხორციელება;

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის საკონსულტაციო მომსახურებაზე გაფორმდა ხელშეკრულება საჯარო რეესტრთან.

## **მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით**

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჯგუფს ჩაუტარდა ISO 9001 ხარისხის მართვის წამყვანი აუდიტორის ტრენინგი. ჯგუფის ეევრებმა წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდა. ჯგუფს აგრეთვე ჩაუტარდა ტრენინგი ISO 31000 რისკების მართვაში და ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის წამყვანი აუდიტორის (ISO 22301) ტრენინგი და სასერტიფიკაციო გამოცდა; CERT.GOV.GE ის პარტნიორმა საერთაშორისო ორგანიზაციამ TEAMCYMRU –მ ჩაატარა ტრენინგი CERT-ის თანამშრომლებისთვის ქსელი მონიტორინგის საშუალებების თემაზე.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს 4-მა თანამშრომელმა წარმატებით ჩააბარა ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის (ISACA) მიერ ორგანიზებული სასერტიფიკაციო გამოცდა ქ. სტამბულში და გახდებიან ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერები, ანუ მიენიჭებათ CISM -ის წოდება.

## **CERT.GOV.GE - პარტნიორები, სერვისები და პროექტები:**

CERT (Computer Emergency Response Team) კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი შეიქმნა 2011 წელს, რომელიც ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით კიბერ ინციდენტების აღმოჩენასა და მათზე რეაგირებას. CERT.GOV.GE თავის მომხარებლებს ეხმარება კიბერ-ინციდენტების პრევენციაში.

## **წევრობა საერთაშორისო ორგანიზაციებში**

- 2011 წლიდან მონაცემთა გაცვლის სააგენტო გახდა **IMPACT** (The Cyber security executing arm Of The UNITED NATIONS SPECIALISED AGENCY of The International Telecommunication Union (ITU)) -ის წევრი.
- 2012 წელს მონაცემთა გაცვლის სააგენტო გახდა **The Trusted Introducer** (- a.k.a. TI - is the trusted backbone of the Security and Incident Response Team community in Europe) სრულუფრლებიანი წევრი, ხოლო 2013 წელს აკრედიტებული წევრი, რითაც მიიღო საშუალება უშალო კონტაქტი ქონდეს სხვადასხვა ქვეყნების მსგავს ორგანიზაციებთან.
- 2013 წელს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საერთაშორისო ორგანიზაციაში - FIRST-ში გაწევრიანებისთვის პოლონელი და ავსტრიელი ექსპერტების მიერ ჩატარდა CERT.GOV.GE-ს აუდიტი, რომლის შემდეგაც ქართული CERT გახდა FIRTS-ის სრულუფრლებიანი წევრი (**FIRST** - Forum of Incident Response and Security Teams) .

## პარტნიორები

CERT.GOV.GE-მ აქტიური ურთიერთობა დაამყარა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის:

- Impact-alliance
- TF-CSIRT Trusted-Introducer
- NATO
- FIRST
- Microsoft

აგრეთვე კიბერ უსაფრხოების სფეროში ცნობილ ორგანიზაციებთან:

- Shadowserver
- Team-Cymru
- Arbornetworks
- N6&Arakis (CERT Polska)
- Clean MX
- QuarantineNet
- INTECO CERT

აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოში აღმოფხვრილია მრავალი სერიოზული კიბერ-ინციდენტი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო სააგენტო პარტნიორი ორგანიზაციებისგან ყოველდღიურად იღებს ანგარიშს დაინფიცირებული ქართული IP მისამართების შესახებ. ასეთი მისამართების ყოველდღიური რაოდენობა 4000-დან 25000-მდე მერყეობს. CERT.GOV.GE-ს აქტიური ურთიერთობა აქვს ავსტრიის, პოლონეთის, ესტონეთის, უკრაინისა და გერმანიის CERT ჯგუფებთან.

## სერვისები

- CERT.GOV.GE ახორციელებს თავისი მომხარებლების ვებ რესურსების შემოწმებას შეღწევადობასა და მდგრადობაზე. ამ მიმართულებით პროექტები განხორციელებულია კონკურენცისა და შესყიდვების ეროვნულ სააგენტოში, სოციალური დაცვის სააგენტოს საინფორმაციო სისტემაზე SIMS-ზე, საჯარო რეესტრში;
- CERT.GOV.GE ახორციელებს აღმოჩენილ დაინფიცირებულ რესურსისა და დამაინფიცირებელი კოდის (ვირუსის) ანალიზს, მათი ფუქციონალის გამოკვლევას, რის შედეგაც მათი გაუვნებელყოფის რეკომენდაციები მზადდება;
- CERT.GOV.GE ახორციელებს პროგრამული კოდის შემოწმების სერვისს, რომლის მეშვეობითაც მოწმდება პროგრამული კოდის ხარისხი უსაფრხოების მხრივ. სერვისი განხორციელებულია ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაზე SIMS, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საიტზე My.Gov.ge).

## საერთაშორისო კონფერენციებში და შეხვედრებში მონაწილეობა 2013 წელს

- კიბერ უსაფრხოების თანამშრომლობაზე შედგა ეუთოს შეხვედრა ქალაქ ვენაში (22-23 მაისი, OSCE). შედგა თანამშრომლობა ახალ პარტნიორთან Dragon Research თან;

- 2013 წლის 23-27 სექტემბერს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო კონფერენციაში - 40th TF-CSIRT Meeting. კონფერენციაზე განხილული იქნა კომპიუტერული ინციდენტების სფეროში უახლოესი გამოწვევები და მიღწეული შედეგები ისეთი მასშტაბის საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების მიერ, როგორცაა Team Cymru, Trusted Introducer. მომხსენებლებად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის და მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების CERT-ების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ CERT.GOV.GE პირველად მონაწილეობდა მსგავსი ტიპის კონფერენციაში TI-ს სრულუფლებიანი, აკრედიტებული წევრის სტატუსით, რამაც მისი ჯგუფის წარმომადგენლებს დახურულ შეხვედრებზე დასწრების და TI-ს კომიტეტის წევრების არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მისცა.

## IP მისამართების მონიტორინგის სერვისი

IP მისამართების მონიტორინგის გულისხმობს იმ IP მისამართების ბაზის შექმნას, რომლებიც მოხვდნენ კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ დაინფიცირებული მისამართების ბაზაში და განლაგებული არიან საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ მუდმივად განახლებულ ბაზაზეა დაფუძნებული დაინფიცირებული IP მიმსამართების ონლაინ გადამოწმების სერვისი ინტერნეტის ქართველი მომხმარებლებისთვის. სერვისი გაშვებულია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს web-გვერდზე და ქართული ინტერნეტ-სივრცის ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია შეამოწმოს არის თუ არა მისი კომპიუტერი დაინფიცირებული კომპიუტერების ბაზაში.

სერვისის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა IP მისამართების წყაროების მოძიება. მოძიებულია 5 მაღალი სანდობისა და რეპუტაციის მქონე წყარო - Shadow server, Team cumry, Atlas arbor networks, Arakis (cert polska), Clean-mx;

ამასთან, 2013 წელს IP მონიტორინგის სისტემაში დამატებით ჩაერთო 6 ორგანიზაცია, რომლებსაც ავტომატურად ეგზავნებათ მონაცემები მათ ქსელში შემავალი IP მისამართების დაინტიციების შესახებ. სულ სერვისში ჩართულია 24 ორგანიზაცია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორიდან.

სისტემაში ჩართული ორგანიზაციების სია:

- მონაცემთა გაცვლის სააგენტო
- საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
- საქართველოს ბანკი
- სამოქალაქო რეესტრი
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
- შ.პ.ს "ჯი-ემ-სი"
- საქართველოს მთავრობის კანცელარია
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ლიბერთი ბანკი
- სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
- საჯარო რეესტრი
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო
- საქართველოს პარლამენტი
- სსიპ შსს მომსახურების სააგენტო

## კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების სისტემა

შემუშავდა ინციდენტებზე რეაგირების სისტემა, რაც გულისხმობს დარეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ინციდენტების ონლაინ წარდგენას, რომელზე დაუყოვნებელ რეაგირებასაც მოახდენს CERT.GOV.GE. ამასთან, ინციდენტის წარმომდგენ მხარეს ონლაინ რეჟიმში ექნება შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ინციდენტზე რეაგირების თითოეული საფეხურის შესახებ და განახორციელოს უკუკავშირი ინციდენტის აღმოფხვრამდე და მის შემდეგაც.

კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების სისტემა შეიქმნა საერთაშორისო სისტემის RTIR-ის ბაზაზე კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის. სისტემის ამუშავების შემდეგ, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტში დაფიქსირდა 6 სერიოზული ინციდენტი. ყველა დარეპორტებულ ინციდენტზე კომპიუტერულ ინციდენტების რეაგირების ჯგუფმა მოახდინა რეაგირება.

ხშირ შემთხვევაში კომპიუტერული ინციდენტების იდენტიფიცირება პრობლემას წარმოადგენს, ხოლო მათი დროულად გამოვლენა და მათზე სწრაფი რეაგირება პრინციპულად მნიშვნელოვანია ზიანის შემცირებისთვის. ამ მიზნით გაეშვა ვებ საიტების დაინფიცირების იდენტიფიკაციის ავტომატური სისტემა Honey Spider, რომელიც ახორციელებს წინასწარ შერჩეული ვებ-გვერდების მონიტორინგს და ავტომატურად ადგენს დაინფიცირების ფაქტებს და დაინფიცირების სახეებს, აფიქსირებს კომპიუტერულ ინციდენტებს, რომლებზე რეაგირებას ახდენს CERT.GOV.GE.

## საქართველოს კიბერ-უსაფრთხოების ფორუმი

კრიზისულ სიტუაციაში ქვეყანაში არსებული IT და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რესურსები მიმოფანტულია, გართულებულია მათი კონსოლიდაცია და კოორდინაცია, რაც დაკავშირებულია კრიტიკულ რისკებთან. საჭიროა შეიქმნას რესურსების სწრაფი და ეფექტური მობილიზაციის სქემა და მექანიზმი, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ღირებული საკადრო რესურსებს ჰქონდეთ კომუნიკაციის და ერთობლივი მუშაობის მოსახერხებელი გარემო. ამის მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია საქართველში ინფორმაციული უსაფრთხოების



გაერთიანების (კავშირის) შექმნა. პროექტის ფარგლებში უნდ აგანხორციელდეს: გაერთიანების იურიდიული სტატუსის დადგენა; გაერთიანების მიზნების, სტრუქტურის, სამუშაო სპეციფიკის და ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და მომზადება; სამიზნე აუდიტორიასთან მოლაპარაკება გაერთიანებაში მონაწილეობის მისაღებად; მოქნილი და ქმედითი გაერთიანების შექმნა, რომელშიც მიღწეულია მისი წევრების მაქსიმალური ჩართულობა.

მომზადდა პროექტის კონცეფცია და პრეზენტაცია, განისაზღვრა სავარაუდო მონაწილეების სია, პროექტის იდეა და კონცეფცია დაიგზავნა დაინტერესებულ მხარეებთან და ფორუმის სავარაუდო მონაწილეებთან; ჩატარდა კიბერ უსაფრთხოების ფორუმის ორი შეკრება - განახლდა სამოქმედო გეგმა და შედგა შეთანხმება საკომუნიკაციო არხებზე.

## **ქსელური სენსორების დაყენება სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში**

პროექტის ფარგლებში ქსელური ტრაფიკის ანალიზის მიზნით კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე დგება სპეციალური სენსორები - რომელთაგანაც მოსული ინფორმაცია გაანალიზდება ერთ ცენტრალურ სერვერზე. ანალიზის შედეგად გამოვლინდება ინციდენტები და მოხდება მათზე რეაგირება. ყველა ინციდენტი, რომელსაც მოყვება რეაგირება, აისახება ინციდენტების მართვის სისტემაში. სენსორები შესყიდულია, განსაზღვრულია მათი სატესტო კონფიგურაცია, შერჩეულია ანალიზის ინსტრუმენტები და განსაზღვრულია მეთოდოლოგია. მიმდინარეობს კონფიგურაციის ტესტირება. კონფიგურაცია ასახულია ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტში.

სენსორული ქსელისთვის შეირჩა აპლიკაცია NFSEN. ამ ეტაპზე სენსორის მეშვეობით დაინფიცირებული კომპიუტერების აღმოჩენა, სკანირებების აღმოჩენა, Brute force აღმოჩენა, dDoS აღმოჩენა გრაფიკის მეშვეობით. ამ ეტაპზე Netflow ტრაფიკი NFSEN-ს ცენტრალურ სერვერზე მოდის 4 ორგანიზაციიდან:

- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო
- საქრთველოს ფინასთა სამინისტრო
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

## **ტრენინგები ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკასა და კომპიუტერული ინციდენტების თემაზე**

ჩატარდა 3 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების 60-მდე თანამშრომელმა. მომზადდა ტესტირების მასალები და პროცედურები ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის

სასერტიფიკაციო ტესტებისთვის. ჩატარდა ტესტირება (2-ჯერ), რომელიც წარმატებით გაიარა 18-მა პრეტენდენტმა.

NATO SPS (NATO Science for Peace and Security) პროგრამის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთის ქალაქ ანკარაში 3-ჯერ ჩატარეს ტრენინგი მონიტინგის, ავღანეთისა და მაკედონიის სპეციალისტებისთვის;

სააგენტოს თანამშრომლებმა, თავდაცვის სამინისტროს, გრენას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ესტონელი ექსპერტებისა და თავდაცვის სამინისტროს მიერ NATO-Georgia Development Program-ის ფარგლებში ორგანიზებულ სემინარში. სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარეს პრეზენტაციები კიბერ-უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის და ინფორმაციული საზოგადოების განვითარების თემებზე.

### **საზოგადოებასთან ურთიერთობა**

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზაციის საქმიანობის ცნობადობის ფორმირებას და პარტნიორული ორგანიზაციების იდენტიფიცირებას.

სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების ფუნქციებში შედის:

- ყოველთვიური საინფორმაციო ფურცლის მომზადება და სამიზნე აუდიტორიისთვის მიწოდება;
- სააგენტოს საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული პროექტების მხარდაჭერა - პრეს რელიზების მომზადება და გავრცელება, პრეს კონფერენციების, პრეზენტაციების ორგანიზება, სააგენტოს წარმომადგენელთა ინტერვიუების დაგეგმვა როგორც ელექტრონული ისე ბეჭდვითი მედიისთვის;
- მედიის წარმომადგენელთა მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირება;
- სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული ვებგვერდების ([www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge); [www.facebook.com/certgovge](https://www.facebook.com/certgovge)) შინაარსობრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა;
- სააგენტოს საქმიანობის მიმართულებების (ინფორმაციული უსაფრთხოება, ელ. მმართველობა) ცნობადობის ამაღლების კამპანიების წარმოება (ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ შემეცნებითი კლიპების შექმნა, თემატური კალენდრების, ბროშურების, ფლაერების მომზადება, საგანმანათლებლო/სასწავლო ლიტერატურაზე მუშაობა);
- ყოველწლიური კონფერენციისთვის (GITI) PR კამპანიის მომზადებაში ჩართულობა და გაშუქების უზრუნველყოფა.

### **დღონორებთან ურთიერთობა**

სააგენტო დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან სააგენტოს საქმიანობის სფეროში შემავალი ყველა მიმართულებით.

## 1. EU Delegation to Georgia:

- TAIEX - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან მიმდინარეობს შემდეგი პროექტების განხორციელება: ერთიანი სახელმწიფო რეესტრის განვითარება, კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს შესაძლებლობების ზრდა.
- Twinning Project – დაიწყო 2012 წლის ნოემბერში და გრძელდება 18 თვე. ბიუჯეტი - 1 270 000 ევრო.

## 2. USAID –EPI project – სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ახორციელებს ვაჭრობის ხელშემწყობის სისტემის TFS (Trade Facilitation System) -ის განვითარების მხარდაჭერას:

- კონსულტაცია სისტემის განვითარების მხრივ;
- საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის თანაორგანიზება მზგავსი სისტემების ფუნქციონირების გამოცდილების გასაზიარებლად;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
- 2 საინფორმაციო კლიპის გადაღება;

## 4. USAID - G3 – Good Governance in Georgia -

- პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგები ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით
- გადაღებულია 10 საინფორმაციო ვიდეო რგოლი ინფორმაციულ და კიბერ უსაფრთხოებაზე.

**5. NATO-Georgia Professional Development Programme** - პროექტის ფარგლებში სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სეპეციალისტებმა თურქ კოლეგებთან ერთად ჩატარეს საერთაშორისო ტრენინგები ინფორმაციულ და კიბერ უსაფრთხოებაში. ტრენინგები ჩატარდათ ავღანეთის, მონტენეგროსა და მაკედონიის წარმომადგენლებს. იანვარში დაგეგმილია ანალოგიური ტრენინგის ჩატარება მოლდოველი კოლეგებისთვის.